ქვეპროგრამის დასახელება: სოციალურად დაუცველი მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირების დახმარება

რა არის ქვეპროგრამის არსი?

მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა.

ვინ არიან ქვეპროგრამის ბენეფიციარები?

ქ. თბილისში 150 000 და ნაკლები სარეიტინგო ქულით რეგისტრირებული მკვეთრად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე უსინათლო პირები.

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

დახმარების ოდენობა შეადგენს 900 ლარს წელიწადში და გაიცემა სამჯერადად 300–300 ლარის ოდენობით (მაისი-აგვისტო-დეკემბერი).

როგორ უნდა მიიღოს პირმა ბენეფიტი?

ბენეფიციარის პირად ანგარიშზე თანხების ჩარიცხვა განხორციელდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოდან მოწოდებული ბაზის საფუძველზე შემდეგი პრინციპით:

- მაისის კუთვნილი თანხის ჩარიცხვა განხორციელდება აპრილის მონაცემთა ბაზის საფუძველზე, მომსახურე ბანკიდან ("თიბისი ბანკი") ბენეფიციარის მიერ ბარათის გატანის შესახებ ინფორმაციის მიღბის შემდეგ.
- აგვისტოს კუთვნილი თანხის ჩარიცხვა განხორციელდება ივლისის მონაცემთა ბაზის საფუძველზე, მომსახურე ბანკიდან ("თიბისი ბანკი") ბენეფიციარის მიერ ბარათის გატანის შესახებ ინფორმაციის მიღბის შემდეგ.
- დეკემბრის კუთვნილი თანხის ჩარიცხვა განხორციელდება ნოემბრის მონაცემთა ბაზის საფუძველზე, მომსახურე ბანკიდან ("თიბისი ბანკი") ბენეფიციარის მიერ ბარათის გატანის შესახებ ინფორმაციის მიღბის შემდეგ.